ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N84

ქ.თბილისი **20 ივნისი , 2019 წელი**

ერთი მხრივ **შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“** ს/კ 243123455 (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი გულაშვილის** და მეორეს მხრივ შპს „უნიქოლორი“ ს/კ 204447312 (შემდგომში _ მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის ბაადურ ქობლიანიძეს სახით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №13-ის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია ცენტრის 2019 წლის სახსრებით საკანცელარიო ნივთების (CPV30192000), ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალი/წიგნების და სხვა ნაბეჭდი პროდუქციის (CPV 228000000) და კომპიუტერული ტექნიკის აქსესუარების (CPV 3020000)შესყიდვა დანართით განსაზღვრულის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1.ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 712,95 (შვიდასთორმეტი ლარი და 95 თეთრი) ლარი, მათ შორის;
2,1.1. CPV22800000 ღირებულებაა-- 238,70 (ორასოცდათვრამეტი ლარი და 70 თეთრი) ლარი;
2.1.2 CPV30192000 ღირებულებაა - 409,25 (ოთხასსამოცდაშვიდი ლარი და 00 თეთრი) ლარი;
2,1,3, CPV30200000 ღირებულებაა -65,00 (სამოცდახუთი) ლარი.
ჩამონათვალის ზუსტი CPV კოდები და ერთეულის ღირებულებები განისაზღვრება ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულის შესაბამისად.
2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს (ტრანსპორტირების ჩათვლით) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები და ადგილი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს შემსყიდველი საკუთარი ხარჯებით.
4.2 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან **10 კალენდარული დღის ვადაში** ერთიანად ან ეტაპობრივად უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება.
4.3 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.
4,4. მიწოდების ადგილია ქ. თბილისი,ნუცუბიძეს 14ბ.

5. შესყიდვის ობიქტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება სრულად მიღბის შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
5.2 <u>მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (დღგ-ს გადამხდელი ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურა), წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.</u>
5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია **შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი**ს“ დირექტორი გიორგი გულაშვილი.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ამ უკანასკნელის მიერ საქონლის მიწოდების შემდეგ მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 25 (ოცდახუთი) სამუშაო დღისა.
6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს შეიძლება დაეკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების ან შეუსრულებელი ნაწილის 10%-ის ოდენობით იმისდა მიხედვით მთლიანად არის ვალდებულება შეუსრულებელი თუ ნაწილობრივ.

8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ს.

8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.**

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის

მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები
13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირები.
13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების ობიექტის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.
13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები
14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“	**შპს „უნიქოლორი“**
ს/კოდი: 243123455	ს/კოდი: 204447312
იურ. მის.: ქ. თბილისი,ნუცუბიძის 14ბ	მის: ქ. თბილისი. სანაპიროს ქუჩა 2
ტელ.: +995 599136864;	ტელეფონი 2394347, 2479877
ელ.ფოსტა ps.hosp@gmail.com	
ბანკი: ს.ს. „საქართველოს ბანკი“;	ს.ს. „საქართველოს ბანკი“;
ბანკის კოდი: BAGAGE22;	ბანკის კოდი: BAGAGE22;
ა/ა GE02BG0000000267299600;	ა/ა GE09BG0000000101421811
_____	_____
დირექტორი	**დირექტორი**
გიორგი გულაშვილი	**ბაადურ ქობლიანიძე**

PSYCHOLOGICAL HEALTH CENTER OF EAST GEORGIA LTD
Digitally signed by PSYCHOLOGICAL HEALTH CENTER OF EAST GEORGIA LTD
Date: 2019.06.20 14:30:35 +04'00'

ხელშეკრულება 84 ის დანართი

#	შესყიდვის ობიექტის დასახელება	CPV კოდები	რაოდენობა	ბომილების ერთეუ	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	COSMIC სამაგიდე ჰორიზონტალური თარო, მეტალის 3-იანი, ბადისებური, შავი-ვერცხლისფერი B82001B	30192000	2	ცალი	18	36
3	ფანქარი 2B 12ც შეკვრაში U52600, DELI	30192130	40	ცალი	0,3	12
4	DOLPHINE კორექტორი ფუნჯით (შტრიხი) 20მლ შეკვრა (12ცალი) DCW400	30192160	24	ცალი	1,35	32,4
5	Libra კორექტორი კალამი MX-1004-12	30192160	20	ცალი	1,6	32
6	Libra მარკერი ტექსტის MX-HL-BE-YW-OE-PK	30192125	15	ცალი	1,2	18
7	სწრაფჩამკერი პლასტიკური 39535	30197210	20	ცალი	0,7	14
8	მაკრატელი 6009	30192000	5	ცალი	2,35	11,75
9	ფაილი 30 მკ. ცი-1011-30	22852100	10	ცალი	4,4	44
10	ჩასანიშნი წებოვანი ნეონი 76x76მმ 400ფ T1-400/067	22816300	10	ცალი	4,5	45
11	MAS ზეჭედის მელანი (ლურჯი) 20ml 463	30192110	1	ცალი	1	1
12	HORSE ბეჭედის მელანი (ლურჯი-წითელი-მწვანე) 30CC	30192110	1	ცალი	0,9	0,9
13	Deli საკანცელარიო ჭიქა მეტალის ბადე ოთხკუთხედი დელ-9174	30192000	5	ცალი	2,65	13,25
14	სახაზავი ელასტიური 30სმ 6209 deli	30194100	3	ცალი	1,4	4,2
15	Libra მარკერი დაფის მრგვალ თავიანი MX-WBR-8-BK-BE-GN-RD	30192125	5	ცალი	1,5	7,5
16	YENER კონვერტი ა-4 110გრ სტრიპით	30199230	20	ცალი	0,2	4
17	YENER კონვერტი პატარა ცნ 114X162 მმ 70გრ წებოთი YEN-005	30199230	20	ცალი	0,06	1,2
18	დანა საკანცელარიო დიდი E2001 DEL	30192160	5	ცალი	1,1	5,5
19	Deli ანტისტეპლერი დელ-0231	30197321	3	ცალი	1,2	3,6
20	სტეპლერი 24/6 0312	30197320	6	ცალი	5	30
21	MAS სკოჩი გამჭირვალე (პატარა) 12მმX9მ 2629	30192160	10	ცალი	0,2	2
22	MAS ქაღალდის დამჭერი კლიპი 32 მმ 930	30197130	36	ცალი	0,25	9
23	კლიფსი მეტალის 19მმ შეკვრაში (12ცალი) 38565	30197130	36	ცალი	0,1	3,6
24	Deli სტეპლერის ტყვია N10 დელ-0010	30124400	6	ცალი	0,35	2,1
25	MAS ჭიკარტი ფერადი თავით 310	30197100	9	ცალი	0,65	5,85
27	საქაღალდე პლასტიკური რეზინით KS4161	22852000	20	ცალი	1,6	32
29	Helio ბაინდერი ჩასადები ფირნიშით ა-4 (განიერი) შავი-ლურჯი 0554	22851000	10	ცალი	3,6	36
30	MAS სკრეპი მეტალის No. 2	30197100	6	ცალი	1,4	8,4
32	სასკოლო რვეული ა4 48 ფურცლიანი	22815000	15	ცალი	1,45	21,75
33	რვეული 48ფ."EUROPAP" (უჯრა-ხაზი) (12)	22815000	7	ცალი	0,85	5,95
34	რვეული 96ფ."EUROPAP" (უჯრა-ხაზი)(6)	22815000	7	ცალი	1,5	10,5
35	რვეული ა4 96 ფურცლიანი	22815000	15	ცალი	2,9	43,5
36	VERBATIM CD-R შეკვრაში 50ც უყურთო - #43787	30237320	100	ცალი	0,65	65
37	საშლელი 4B 3044	30192100	15	ცალი	0,5	7,5
38	კალკულატორი 12 თანრიგიანი Deli Stationery 183x130x37მმ E1629	30141200	2	ცალი	23	46
39	პერმანენტ მარკერი ორმაგი წვერით EU10420, DELI, დისკზე დასაწერი	30192125	6	ცალი	1	6
40	Deli სტეპლერის ტყვია N 24/6 დელ-0012	30124400	30	ცალი	0,5	15
41	წებო მშრალი 8გრ PVP EA20010, DELI	30192000	30	ცალი	0,55	16,5
42	კალამი ბურთულიანი TM-8698/313909/507562	30192121	120	ცალი	0,5	60

საერთო ფასი 712,95

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.თბილისი **„20“ „ივნისი, 2018 წელი**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის თანახმად, **შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი**ს“ დირექტორი გიორგი გულაშვილი და შესყიდვების მენეჯერი ირინე ყარაულაშვილი ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების #84 მიმწოდებელთან „შპს „უნიქოლორთან“.

დირექტორი:
გიორგი ლოლიაშვილი _____

შესყიდვების მენეჯერი
ირინე ყარაულაშვილი _____

PSYCHOLOGICAL HEALTH CENTER OF EAST GEORGIA LTD
Digitally signed by PSYCHOLOGICAL HEALTH CENTER OF EAST GEORGIA LTD
Date: 2019.06.20 14:30:54 +04'00'